ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №36

2015 წლის 24 აპრილი
ქ. ბათუმი

„ბსუ–ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „თარგმანისა და ინტერდისციპლინარული კვლევების ცენტრის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 25 ივნისის №84–ე დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფ. მარინა გიორგაძის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შევიდეს ცვლილებები და დამატებები „ბსუ–ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „თარგმანისა და ინტერდისციპლინარული კვლევების ცენტრის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 25 ივნისის №84–ე დადგენილებაში, კერძოდ:

1) დადგენილების 1–ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„1. დამტკიცდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული არსებული „თარგმანისა და ინტერდისციპლინარული კვლევების ცენტრის“ დებულება დანართი 1–ის შესაბამისად“.

2) დანართი 1–ით დამტკიცებული დებულების მე–3 მუხლის 3.1. პუნქტს დაემატოს „დ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„დ) მთარგმნელობითი მიმართულების განვითარება ზოგადად, და კერძოდ, პროფესიონალი კონფერენციის თარჯიმნების მოსამზადებელი პროგრამების შექმნა და პერსონალის მომზადება“.

3) მე–3 მუხლის 3.2. პუნქტს დაემატოს „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) კვალიფიციური, პროფესიონალი კონფერენციის თარჯიმნების მომზადება“.

4) მე–3 მუხლის 3.3. პუნქტს დაემატოს „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) კონფერენციის თარჯიმნის სპეციალობის პროგრამების განვითარება და კონფერენციის კვალიფიციური თარჯიმნების მომზადება“.

5) მე–4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

დ) კონფერენციის თარჯიმნის სპეციალობის ახალი სასწავლო კურსების შექმნა“.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი **გურამ ჩაგანავა**